



მამულისთვის გაძრჯე უჩქაცს არასდროს არ შოაკლდება: უფაფილების თაიგული, ხალხის ტაში, ხალხის ქება, როგორც შერუნველს, გაზაფხულიც ტოტებგამლით ეგებება!

სოლო ის, ვინც უდარდელად გაზაფხულის მზეზე თბება, სხვისი შრომის მომედე, ოცნებათა ეჭხით თვრება, ვის ბაღშიაც ფიტრი ჰევავის — არ აჩდება გაყითრება!





კაცი კი არა - გველია,
გვარადაც ტრიუმფი ლია,
თუ ბაქტერიებს ვიზ ხედავს,
განა ეს საკვირველია?
დოლარის სათვალეებით
სტერლინგის განშეითხველია!

არსებობს ძველი ლეგენდა ბაბილონის გოდოლის შესახებ:
გაყოყოჩებულ აღამიანებს ჭკუა და ენა აერიათ. ვინც
კირს თხოულობდა — წყალს აწვდიდნენ, ვისაც წყალი სჭირ-
დებოდა — მასთან ჭვა მიჰქონდათ. ერთმანეთს ველარაფერი
გაუგეს და ცაში გამეფების ოცნება ჩიტუშათ.

იმ აღრევის ახალი სახეობის მოშემ ვხდებით ახლაც:

ამერიკელმა ომის გამხალებლებმა იმ ყოყოჩებს ყეყეჩუ-
რად მიბაძეს ეგრეთ წოდებულ „ეგრობის არმიის“ შექმნით.

აღნიშნულ „არმიაში“ თორმეტ ენაზე იქნება ლაპარაკი
და ბრძანებების გაცემა. თურმე ნუ იტყვით, ერთ-ერთ ენაზე
ინგლისური ბრძანება: „შეტევაზე გადადით“ — ნიშავს „და-
ძინეთ“, მეორეზე — „დაიჩიქეთ“ და სხვა...

ჩვენ არ ვიცით, საბოლოოდ რომელ ენაზე უბრძანებს
ეიზენჰაუერა მათ „შეტევას“, მაგრამ ბაბილონის გოდოლის
სისტემაზე შექმნილი არმია რომ დაჩიქებას ირჩევს — ამაში
ეპვიც არ გვინდა შევიტანოთ.

რომა მხარეში ხემინენ

დღეს, როცა მთელი კაცობრიობა აღმფოთებულია ამე-
რიკელთა ბაქტერიოლოგიური ავაზაკობით, ტრუმენის გენერ-
ლები ტრაბახობები:

— ბაქტერიოლოგიური ომი? ეს თვით ბუნების უძველე-
სი მეთოდია, ჩვენ ის მხოლოდ გავაუმჯობესეთო.

იცით რა ყოფილა ეს ბაქტერიოლოგიური ომი?

ელვა, მეხი, მალარია, ინფექციური ავადმყოფობანი.

ამ ავადმყოფობათა მოსპობისათვის ბრძოლა კი არა, მათი
საშუალებით აღამიანების მოსპობა — აი რა ამოცანას უსახავენ
თეთრი სახლის შავი საქმოსნები ამერიკის არმიას.

ამ თემაზე განუწყვეტლივ კითხულობენ ლექციებს ამერი-
კის „ქიმიური კორპუსის“ გენერლები ვინმე ჩარლზ ლუსი და
უილიამ კრიზი, რომელთაც ტრუმენის მთავრობა ყოველნაი-
რად აქეზებს და ხელს უწყობს.

— რწყილი ახლა ბიზნესია, თავი და ხოჭო — ჩვენი ჯა-
რისკაცები არიან! — უტიფრად ხუმრობენ ტრუმენის აგიტა-
ტორები და ცდილობენ მსმენელი გააცინონ „ენამახვილობით“
უდანაშაულო აღამიანების მასობრივი გაულეტის თაობაზე.

მაგრამ მსმენელები არ იცინიან.

კეშმარიტად, აღამიანებს მხოლოდ აღმფოთება შეუ-
ძლიათ, როცა მხეცები ხუმრობენ!

როგორ გაანათლეს ჯოჯოხეთით მოვლენილი ეშმაკი ამერიკაში

ერთ დღეს ამერიკაში სენაციური ხმა გაავრცელეს: მთა-
ვარ ეშმაკს ჯოჯოხეთის გასაღები დაკარგვია და იძულებით
მიწაზე დაშვებული ტრუმენს ეწვიაო.

ჩვენ დაწვრილებით გავიგეთ ჯოჯოხეთელი ეშმაკის საუ-
ბარი — უოლსტრიტელ ეშმაკებთან.

— რაში ხედავთ მიწიერ ბედნიერებას, მისტერ ტრუ-
მენ? — შეეკითხა თურმე ეშმაკი.

— ენაიდან სამხედრო შტაბში ახლა ბაქტერიოლოგიური
ომის მომზადების პროგრამას ვიხილავთ, გთხოვთ, ჩემს მაგიერ
მოუსმინოთ ამერიკის სამხედრო სამინისტროს ქიმიური განკო-
ფილების უფროსს, გენერალ ბელლენს. მას ამ საქმეში, რო-
გორც იტყვიან, ძალით შეუჭამია. ვითომც მე ვიყო, ისე მოუ-
მინეთ.

ამ სიტყვების შემდეგ ტრუმენი გავიდა, გენერალმა მელ-
ლენმა კი ხელების ფშვნეტით დაიწყო:

— ი, მისტერ ეშმაკ, ამქვეყნიურ ბედნიერებად ტრუმენს
და ჩვენ, მის ხელქეეითებს, მსოფლიოზე გაბატონება მიგვაჩ-
ნია და, ვინაიდან, ეს ხალხების გაუქლეტავად, ქვეყნების დაუნ-
გრევლად არ შეიძლება, ჩვენ უმაღლეს ნეტარებად ვთვლით
ბაქტერიებით, საწამლავებით, გაზებით ბრძოლას. ატომის ბომ-
ბის გამოყენებაზე ხომ ვოკნებობთ და ვოცნებობთ!

— არ მესმის რა ბედნიერებას უნდა ხედავდეთ ამაში? —
მხრების აჩეჩით შეეკითხა ეშმაკი. ბელლენი სიამოვნებისაგან
დაიგრია:

— რას ბრძანებთ, მისტერ ეშმაკ, კორეის, ჩინეთის, ან მსოფ-
ლიოს სხვა ნაშილში რომ გაუშვებთ ბაქტერიებით აღჭურვილ
რწყილებსა და თავებს, ხოჭოებსა და პეპლებს, რომ გაუშვებთ
შემხუთავ გაზებს ქალაქებში და სოფლებში, გზებზე და მინდ-
ვრებში ათიათასობით, მილიონობით აღამიანები რომ დაიწყე-
ბენ კრუნჩებას, მიწა რომ მოიფინება გვამებით...

აქ ეშმაკს გული შეუწყებდა — ასეთი ბარბაროსობა ჯო-
ჯოხეთშიც არ გამიგონიაო. მაგრამ ეშმაკი შესულმა გენერალმა
იგი ვისკით მოასულიერა და განუმარტა:

— რა გაშინებთ, მისტერ ეშმაკ? ამ ჯოჯოხეთურ საშუალე-
ბებს ჯერ მხოლოდ კორეაში და ჩინეთის განაპირო პროვინციებში
ვიყენებთ, ნამდვილი ბაქტერიოლოგიური ომისათვის კი ახლა
ვემზადებით.

ეშმაკმა მაღლობა გადაუხადა და შეპირდა: მალე ჯო-
ჯოხეთში თვით მისტერ ტრუმენს მივიწვევთ და ვინძლო იქ
უფრო გულდასმით შეგვასწავლოს ეგ თქენი ბარბაროსო-
ბანიო.

უარსადანი

ნანგის რეაცვა - არა არა მომად

შესლი და მელი

მონაღირის ხაფანგში
მგელი მოჰყეა თუ არა—
კუდა-მელაშ თამამად
კუდე გადაუარა.

დაუნდობლად ამხილა
მგლური მიდრეებილება,

თუმც ლაქუცი ჩევერია

მელას, ვიღრე გინება.

— ხედივთ, არანაგებო,—

იძახდა მელია,—

მგელი მგლობას არ იშლის,

მგელი სისხლის მსმელია!

მოვიგონოთ, ღრო არის,

მისი შავი წარსული,

მტაცებელი რამ გახლდათ,

მექრთამე და ავსული!

ქრთამით სურდა გაძლომა,

ქრთამი ეცვა-ეხურა,—

უსასყიდლოდ ხის ტოტზე

ვერ ჯდებოდა ბეღურაც...

კოლექტივის ფერმების

მტერი იყო, ვიკოდით,

ქათმის ძელებს რომ გნახავდით,

მათი ცოდვით ვიწოდით!

— მართალია, მართალი! —

კვრი დაპერეს ტურებმა,

და მელიას ეამა

სიტყვის დადასტურება.

— მელამ მგელი ამხილა! —

თქვა გულდინჯად დათუნამა,

და მელიას ბეჭებზე

თათი ძოუთათუნა,—

— მართლაც განადგურების

ლისი იყო პირზავი!

მაგრამ ერთი რამ არის

მაინც აღსანიშნავი...

როცა. მგელი ხაფანგში

ორი ფეხით გაება,

როცა იგი ვერავის

ვეღრი შეედავება,

კუდა-მელა სოროდან

მხოლოდ მაშინ გამოხტა,

მოითხოვა თამამად

მისი სულის ამოხდა...

*

მგელს ხაფანგში გააბამს

მისი მგლური ხელობა,

მგლობა არების შერჩება

და არც კუდა-მელობა.

გვ. გოგიაზვილი

თეატრები იყო და არა იყო ას...

იყო და არა იყო რაიმაღალი მომხდარ ამბავზე უარესი რა იქნებოდა, იყო ერთი მაღალი გამგე ვაღერიან გოგობერაშვილი.

იტა ვაღერიანი თუშის მაღალიაში და ჭამდა ხარხის ქონებას, ჭამდა უღმერთოდ, ჭამდა შანამდე, ვიზრე მუცელი გურზე არ მიებჭინა და სულშეუთუდეს ვაღერიანის წვეობი არ გასჭირდა.

ჭამით მოვდედი კაცი აბა ვის უნახავს, და არც ვაღერიანს ვაუსკერებოდა გული, მოუღონდედ რევიზორი რუბენ ბატარიძე რომ არ გასცემოდა.

რამ შეგაშინა, შე კაი კაცო, უთხრა რუბენმა ვაღერიანს. აენეროთ და თუ რამე აღმოჩნდა, შენს მეტს განა არავის გაუფლანგავს? ციხეში ჩაგსვამენ, მეტი კი არაფერი.

„შე კაი კაცო, ციხე კი არა, მე თავისუფლება მინდა!“ აღმოხდა ვაღერიანს.

„შენ თუ თავისუფლება გინდა, მეც მინდა რაღაც“, ნაუკენეს რუბენმა ვაღერიანს.

„მოგის...“ მიუგო ვაღერიანმა რუბენს და გინეყო აღმერა-შეკამება. ჭამი იშვედა გამოდგა, რამხედა მცდაც ვაღერიანს პქონდა. ჩაყარეს ჭამში ღანავილის და 45927 მან. გამოვიდა.

ნაუჩერჩეულა რუბენს თვალები გაუბრნინდა: „მაშ ზედახდა დავთვაღოთ“, — თქვა მან.

ამოყრის ჭამიდან ღანავილის და შეგ მხოლოდ 800 მან. გატოვეს.

„შენ ნამდები ფასუნგი ხარ. ზღაპრებში რომ გამიგონია“, უთხრა რუბენს ვაღერიანმა და ცარიელი ჭამით რაივაშირის მიაგნენ.

ჩახედა ჭამში რაივაშირმა, ვაღერიანს ცარიელი ჭამი არ უყვარდა, თქვა მისმა უფროსმა და ასაწერ-შესაჭამებლად ახალ რევიზორი გამოყო.

გაძრა ჩიოქს ახალმა რევიზორმა, უკანვე გამოკვრა და ჭამი პირამდე გააღიცილია. აიღო გაღიცილიცებული, 45000-მანეთიანი ჭამი და პირაპირ სასამართლოში მიიტანა. იმსჭედა სასამართლომ, გაიკოთხა, გამოიკითხა და გოგებრაშვილს 14 წლის პატიმრობა მიუსაჭა.

რუბენ პატარიძე კი ანრიინდა: „მე რა შეამი ვარო, — თქვა მან. — მღვდელს აღიღუა ეშვებოდა და მე რომ ანგარიში ამერიკის, რა გირი ამბავია...“

„რამ შეგაშინა, შე კაი კაცო, — მოუგო მოსამართლემ, — მოვისმინოთ, გავადგინოთ და ასეთი რამ შენს მეტს განა არავის გამართვინა! ციხეში ჩაგსვამენ, მეტი კი არაფერი...“

„ციხე კი არა, შე კაი კაცო, მე თავისუფლება მინდაო!“ — აღმოხდა რუბენს.

„შენ თუ თავისუფლება გინდა, მეც ხომ მინდა... თავის დაზლვევა. ამღენი ფუღის გამფლანგვების დამფარვის გაფარგვას ვინ მაპატიებს!..“

ჩაყარა ჭამში მოსამართლემ სხვადასხვა მუხები, სტატიები, პარაგრაფები, გაძრა სამოსამართლო ჩიოქს, უკანვე გამოკვრა და რუბენ პატარიძეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჭა, თავისუფლების აღკვეთავად და ხედფასიღზ 20% გავავებით.

ეს არავი თერჯოლაში გავიგონე ერთი მოხუცი კოდერენისაგან. მთხოობელმა მისი ბოლო არ იცოდა. მე კი გულით მინდა გავიგო. თუ ვინ დაამთავრებს ამ თერჯოლურ „იყო და არა იყო რას“?

803

ჩახ. ა. განდელაკიძა



ნახეთ 16 ტექსტი



სამუშაო
სამუშაო

მორიგ რეისზე ნიანგმა მე გამიყოლია. ამჯერად ახმეტაში. ჩავედით თუ არა, გადაწყვიტით ტელეფონით გვესარგებლა, რათა ახმეტას ორი-სამი კილომეტრით დაშორებულ რაიონის საავადმყოფოს დაკვაგშირებოდით. გვინდოდა გაგვეგო: ჰერნდით თუ არა ადგილი ერთი კაცის დასაწოლად. ეს ერთი კაცი მე ვიყავი. მართალია ფეხი, რომლის გულის თვისაც მე მომიხდებოდა დაწოლა მოტეხილი არ იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ მტკიციდა, რადგან თელავიდა ახმეტაში მიმავალ ავტობუსში ჩამჯდარს კარგა სიმძიმეს ჩემოდანი დამცეს ზედ. და განა ეს აქმარეს საწყალ ფეხს? ზედ დადგმულ ჩემოდანზე ვიღაც ახმახი ჩამჯდარ არჩენად და ტკივილისაგან მეც ხაფანგზი თათმოყოლილ დათვიერ ავტორიალი. შოფერმა მანქანა გააჩერა. მაშინ სხვა მგზ ვრებმაც შემიბრალეს, ჩემს მხარზე გადაკიდებული მათა ხურჯინები ჩამომხსნეს და თავზე დადგმული ვიღაცეც ვევია კალათაც ამაცალეს.

მისლისთანავე ფოსტაში შევიარეთ და კარგა ხანს არ-ლანივით ვატრიალეთ ტელეფონის სახელური, მაგრამ მიუხედავიდ ნიანგის ყურთა სიმახვილისა, მაინც ვერაფერი გავიგონეთ ყურმილში.

— რალა დღეს დაყრუედა ეს ტელეფონი, ნუთუ შეუძლებელია საავადმყოფოსთან დაკავშირება?

იქვე მდგომად ფოსტის გამგებ თავაზიანად გაიღიმა:

— გეტყობათ ახალი მოსულები ხართ ახმეტაში. ჯერთი, საავადმყოფოს ტელეფონი არა აქვს და მეორეც, ახმეტაში ტელეფონები ჩენი სურვილების მიხედვით არ მუშაობენ. რამდენჯერ დავაყენეთ საკითხი კაშირებამშელის სამართველოს სატელეფონო განყოფილებაში, მაგრამ გვეუბნებიან: მშრალი ელექტრები არა გვაქვს, მივიღეთ და გამოგიგზანით. აი ჩენც ვერით, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს.

ნიანგმა ტელეფონს თავი მიანება და ქუჩაში გამოეიდა. ხანხალით გამოვყე უკან და როდესაც დაგვეწიე, სიბრალულით გადმომხედა:

— ტელეფონით ვერა გავაწყეთ რა, ეტყობა მშრალ ელემენტებს დაუსკელებლად არ გამოიგზავნიან აქა და ჩენ რომ იმას ვუცადოთ, კაი დღე არ დაგვადგება. მოდი აქვე საექიმო პუნქტში შევიაროთ, შევახვეინოთ და მერე რენტგენოლოგს ვთხოვთა თავისი „მოსკოვის“ აგვიყვანოს საავადმყოფოში.

ცოტა ხნის შემდეგ ფეხზევეული ვიჯენი ნიანგის გვერდით საავადმყოფოსკენ მიმავალ მოსკოვიში.

საავადმყოფოსკენ მიმავალ გზის დასაწყისში („გზას“ ვამბობ, თორემ რა გზა!..) ქვეზე, ლორებზე და ორმოებზი ზლაყნით გვერდები აღარ შემრჩა, (ლორეთმა დაწყეველოს მაღალი კაცი „მოსკოვში“), ზევ-ზევით ხტუნდოთ კინალამ ჭერი ავზნერი მანქანას.

ძლიერ მიგრინებით ასელა, რომ საავადმყოფოს გამგე გამოგვევება ხელებაშირელი: ჯერ მეგონა ისე გაუხარდა ავადმყოფის მისვლა, რომ ნამდებლად გულში უნდა ჩამიქრას-შეთქმა, მაგრამ მის შეშინებულ სახეს შევეძე თუ არა, გუნება ჭამიხდა.

— აპაპაპა, არავითარი ადგილი, არავითარი საწოლო!.. მაგრამ შები ხალთაში არ დაიმაღდა: ნიანგის კუდმა და ჩანგალმა გაგვეა.

გამგე მოლბა.

— მობრძანდით, ბატონო, მაგრამ რა ვქნა, რა თავში ქვა ვიყე, რომ არ ვიცი სად დაგვაწვინო ახლა ეს კაცი?

— როგორ, მაშ ადგილი არა გაქვთ?

— არც ადგილი, არც საწოლი.

— ნუთუ ასეთი სუსტი ჯანმრთელობის ხალხი გყავთ რაიონში?

— რას ბრძანებთ, რეინასავით არიან, მაგრამ ფართობი არ გვყოფნის: სიიშროვის გამო ერთ თახაშია მოთავსებული ქირურგიული, თერაპიული და ბაგშეთა განყოფილება, ჩენ აქ მარტო მძიმე ავადმყოფებს ვაწვენთ.

— მაშ მსუბუქი ავადმყოფები არ მოჰყავთ?

— როგორ არ მოჰყავთ, მაგრამ საავადმყოფოში მომავალი გზის წყალობით ყველა მძიმე ავადმყოფება იქვევა ხოლმე.

ამის გაგონებაზე კინალამ გული წამივიდა და იქვე ჩაი-კიცი.

— არიქა, წყალი! — დაიძახა შეცბუნებულმა, ნიანგმა — სადა გაქვს წყალი, ბატონო, რაიონის ცენტრში თუ იშვიერი! იმასც სასაღილოების გამგე ქოვლიერი ეზიდება ლვინების საკეთებლად.

როგორც იყო გონს მოვედი და ნიანგს ვთხოვე გავცლილით იქაურობა.

გზის ნაპირზე აბიმალაზის სარდაფილიან კაცი იმოვიდა და იქვე ეზოში შეუხვია.

— აი ეგ კაცი, — მომიბრუნდა ნიანგი, — რაიავშირის საწყობის გამგეა — ფრიუზა ქუფარაშვილი. მოდი შევუაროთ. მაგაზე ამბობენ, რაივარმობის წესებს არღვევსო.

— მაგას რალა ლმერთ გაუწყრა?

— მაგას არც ლმერთი სწამს და არც საბჭოთა ვაჭრობის წესები: საწყობშივე ჰყიდის იმ საქონელს, რომელიც განკუთვნილია სოფლის კომპრატივებისათვის.

— ეგ, კარგი იყო შევევლო, მაგრამ ხედავ, დაკეტა საწყობი. როდი ისევ რავაპრობაში შევიაროთ. გავიგოთ პურს მაინც რატომ არ აცხობენ რიგიანს. ძალიან უჩივიან აქაურები. წვიმის ღროს ქუჩებში და ეზოებში ტალაზი არ გვაკლია და ეს ხელოუნური ტალაზი რალა საჭიროა?

მოვაბლოვდით რაიავშირობის შენობას და გავეირვებისაგან შევდექი მის ეზოში. რამდენიმე კაცი და ქალი შედიოდა და გამოლიოდა შენობაში. მაგრამ, ჰოს საკერველება! — ყველა წელში მოხრ ილ-ჩიშვილ დული დადიოდა, თითქოს რალაცა დაკარგიათ და იმას ეძებენ.

— ნუ გივეირს, — მომიბრუნდა ნიანგი, — ესენი რაიავშირობის მუშავები არიან. სხვა შენობა არა აქვთ და ეს სახლი კი ისე დაბალია, რომ თუ არ მოიკავე, ზიგ ვერ შეხვალ. ეს ბალხი დიდი ხანია აქ მუშაობს და იმიტომ განიცადა ასეთი მეტამორფოზა ღრიოთა განმავლობაში.

რაიავშირობის გამგე კარგებში მოვეგებება და ოთახში მიგვიატით. კერი მართლაც ისე დაბალი ჰქონდა ამ ოთახს, რომ ჩემი სიმაღლის გამოდავდომაც ვერ მოვხერხე და ის იყო იატაქზე დაწლოლას გამირებდი, რომ ნიანგმა სიხოვა გამგეს ეზოში გველაბარაქო.

პურის საცხობიც იქვე იყო და გადაწყვეტილებით ის მაინც დაგვეთალიერებინა.

პურის საცხობის შუა ადგილას ვებეროტელა ვარცლი იდგა, რომელშიც მოსაზელად გაუცრელი ფევილი ეყარა და შიგადაბაზ ჩემი ერი ერია. საცხობი უსუფთაო იყო, კერზე აბლაბუდები ეკიდა.

— კარგი, ეს გასაგებია, რომ მატლი და უსუფთაობა მოხვდეს ცოტში, მაგრამ დაბალი ჰქონდა ამ ოთახს, რატომ არ აშრობთ? — შეეკითხა გამგეს ნიანგი.

— ჩენი რა ბრძალია? — კევავის მნარევი მეტაც ცოტში და იმის გამო არ ცხება. ცეკავშირი გვაძლევს გეგმას: 100% ხორბლის ფევილზე 33% კევავის ფევილი უნდა გაუცრიოთ ამ თვეში. წინა თვეში 100% ხორბლის ფევილზე 50% კევავის ფევილს ვურევდით და მშვენიერი პური გამოლიოდა. რატომ აღრე არ ჩამოვედრით? გისი ბრძალა?

— კი მაგრამ, შე დალოცელო, თუ წინა თვეში უფრო მეტი კევავი გაგირევია და კარგი პური გამოსულა, ანლა რალა დაგემართათ ჩემი აზრით, კევას უფრო მეტს უნდა გაეცვლოთ ბორბლის ფევილში, გიღრე გეგმით ნებადართული გაქვთ.

რაიავშირობის გამგე დაგურებრდა და ნიანგს შეხედა:

— ჩენ რას გადაგვეკიდეთ, აბა თელავში ნახეთ როგორ პურს აცხობენ?

რა უნდა გვეთქვა? მალე გამოებრუნდით იქიდან, რათა № 2 სასაღილოში წაგულისყავით და ახლა მაინც დაგურებული ჩენის ჩენებში სამართლიანად ამბობებული კუკები. მაგრამ ვაი თქვენს მტერს! ჩანერლებულ დაბალი ოთახის მსგავს შენობაში მოვგიტანე მშელ ხორცისაგან მომზადებული ხინკალი, რომელსაც სიმსუბურის მისაცემად მარგარინი ჰქონდა გარეული. ჯერ ორი ცალიც არ მეონდა შეკმული, რომ უცებებს უნდა ურევდეთ ისეთი, ბრაგა-ბრუგი ატყადა, რომ გეგმინებოდათ ქვეყანა იქ-ცემით. მიწა და მტერი წამოვიდა და მთლიანად დაფარა ჩენები საჭმელო.

თავზარდაცმულები გამოვცვილებით გარეთ და „ლმერთს“ მაღლობა გუთხარით, რომ ზედა სართულში მცხოვრებლებმა კერის ფიცრებიც არ დაგვეცს თავზე.

ლალო მრალაზილი



ყაზბეგები კარივანები

ვარიკმახერი ქალი გვეყვს—
ცისფერთვალება, „ცქრიალა“,
ჯერ რა თბა-წვერი მებადა,
ისიც მან გამიტიალა!

ალესა სამართებელი,
ფხააშუობილი, პრიალა,
როგორც მზის შუქზე მთიბავის
ცელმა—ბალახში იალა...

(რაღაც შიშის ვგრძნობდი წინას
მთელ ტანში შემაერიალა!...)
დაჟვა, დათიბა კისერი,
ულვაშიც შეაშრიალა!

ლოყა იოდით დაწინწეულა,
ქეჩის სწვდა შურისძიებით,
სახეზე გადამიპენტა
მან ბამბის პლანტაციები!

მეგონა, ამით მაქმარა
სასჯელი მკაცრი ჯალათის,
მაგრამ როდესაც ახალა
კოსმეტიკების კალათი,

მე „დუხის“ სუნი მეოცა,
შუშეუნა იყო, წყლიანი,
მანამ მასხურა, სანამდის
არ ამოვუშვი ლრიალი!..

პედმა მალირსა აღგომა,
როცა იჯერა გულია,—
მაგრამ რის ნიხრი, რა ნიხრი?
კალთით მომოხოვა ფულია!

არ დამიჯერებ, ნიანგო?
სწორს ვამბობ, განა ზღაპარსა!
ვაი, რა ძნელი ყოფილა
ყალბეგში წვერის გაპარსვა!

გერგეთელი



არ გეგონოთ, რომ ეს ამბავი უნივერმალში ხდება, არც პირდალებული პირვებები გახლავთ ხარეკლამო მანეკენები... არა... თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ჩვეულებისამებრ გადამყიდველი შემოცუნცულდა, თავისი სეირი გახსნა და, როგორც ხედავთ, ექიმი ქალების მთელი ყურადღება მიიპყრო... უნდა ვალიარო, რომ ცოტა მოშორებით ვიჯექი, კბილები ახლად დაძრობილი მქონდა და ტკიფილით თავგაბრუებულმა ზუსტად ვერ დავადგინე, თუ რა მაზანდა იყო იმ დღეს ბოლიკლინიკაში... ჯერჯერობით ამ გამაფრთხილებული სურათით დავქმა-უოფილდეთ... თუ საჭირო გახდა—ექიმი ქალების ფორმსურათებსაც მოგაწვდით ნიანგის ფურცლების დასამშვენებლად... თვალტანად მართლაც ლამაზები არიან, როგორც ამბობენ, თავიდანვე ტანადობის მიხედვით ყოფილან კიდეც შერჩეული.

ჩითამოსის გამოცემის 66

ცარუბეჭოტო-ცარევიზით ამოცანები

ორეზონტის განვითარება

გურჯაანის ორტელის ხე-ტყის დამაშალებელმა ა. გოგიშვილმ შექმა არტელის 23.000 მანეთი. გაუგეს. პასუხისმგებელი მისცეს. პასუხისმგებელმა არტელს პასუხი იმით გასცა, რომ იშოვა 23.000 ნანეთი. დანაკლისი დაფარა, თავი გადაირჩინა და რამდენიმე ხანში უკვე 27.000 მანეთან ერთად თვითონაც დაიკარგა.

ამოცანა გვეკითხება: რამდენი ათასი მანეთი წაიღო თან დაკარგულმა ა. გოგიშვილმა და რამდენი?..

მუნჯი გვილები

მტკვრის მარცხენა ნაპირის ტრესტის № 22 სასაღილოს გამგე ჭ. მუნჯიშვილმა საქონლის ზედმეტ ფასში გაყიდვის საშუალებით მომხმარებელს ააფცვნა 14.000 მან. ეს ამბავი კარგა ხანია შეიტყო ტრესტის მმართველობამ, მაგრამ დღესაც სდებს.

ამოცანა გვეკითხება: მარტო მუნჯიშვილია მუნჯიშვილი, თუ ტრესტის სამმართველოშიც მოიპოვებიან სხვა მუნჯიშვილები?

რედაქტორი კარლო კარლო დ. სარედაქტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниавги“. Редакция и редактор: რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 8-10-49.

ბეჭედოშვილი. დასაბ. 1952 წ. 31/III სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 701 გამოც. № 6. ტირ. 15.000. უ. 02315.

52-98
1936
308-207

ნახ. გ. კომისარი



საზრანგოს პერიოდის სავარპერი

უბრალო თვალით ძნელი გახარკვევია — ეს საგარსელი „თავისუფალია“ თუ „დაკავებული“, პრეზიდენტის აფოშატური მრიცხველი კი უკვე 138-ს აღნიშნავს.